კომუნიკაციის მნიშვნელობა მოზარდებში

ნინო მამამთავრიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიანა ბოგიშვილი, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო მამამთავრიშვილი

_____ თარიღი

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა სოციალურ მედიაში კომუნიკაციის ფორმის და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა მოზარდებისათვის. კვლევის ამოცანას კი წარმოადგენდა კომუნიკაციური პროცესების განსაზღვრა და მოზარდთა ინტერესებისა და მათი გამოხატვის სახეების იდენტიფიცირება სოციალურ მედიაში. ჩემი დაინტერესება გამოიწვია ამ თემამ იმიტომ, რომ სოციალური მედიით კომუნიკაცია დღეს სულ უფრო აქტუალური ხდება, და საინტერესოა მოზარდების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სკოლის დამამთავრებელი კლასების 20-მა მოსწავლემ. კვლევაში გამოყენებული იყო კვლევის თვისებრივი მეთოდი, ხოლო შედეგები გაანალიზდა პოლ ვაცლავიკის კომუნიკაციის პროცესის აქსიომების საფუძველზე. შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოზარდთათვის სოციალური მედია არის საკუთარი თავისა და ემოციების გამოხატვის საუკეთესო საშუალება, ამისათვი ისინი იყენებენ ფოტოებს, კომენტარებს, ციტატებს და სხვადასხვა ჯგუფებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კომუნიკაცია, კომუნიკაციის პროცესი, სოციალური მედია, მოზარდები.

Abstract

The aim of this research is to define form and importance of communication in social media in adolescents. Research question was define communication models and identify interests of adolescents and patterns of its expression. The reason of my interest about this problem is rising number of communications by social media. In this research was studied 20 percipients, students from different school, from finishing classes. We used qualitative data method and results was analyzed based on Paul Watzlawick's communication method.

Based on results we can define that for the part of adolescennts social media is best way to express themselves and their interests. As a communication form in social media adolescents use photos, comments, citations, and other groups.

Key words: communication, communication process, social media, adolescents.

მადლობა

დიანა ბოგიშვილს ხელმძღვანელობისთვის და მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.

იმ ადამიანებს, რომლებიც დამეხმარნენ რესპონდენტებთან დაკავშირებაში და კვლევასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.

რესპონდენტებს, რომლებიც ჩაერთნენ კვლევაში და დამეხმარნენ სათანადო მასალების მოპოვებაში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს სამეცნიერო ლიტერატურისა და სამუშაო სივრცის ხელმისაწვდომობისთვის.